პროლეტარიელო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 57 (18599) ხუთშაბათი, 10 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სულ უფრო მშვენდება და ლამაზდება თბილისი, ეს-ეს არის საბურთალოს ქუჩას კიდევ ერთი 72- ბინიანი საცხოვრებელი სახლი შეემატა.

ამჟამად სახლის გარე მოპირკეთების სამუშაოებია დარჩენილი, რომლებსაც ახორციელებს თბილისის მიწისქვეშა ნაგებობათა ტრესტის პირველი სამშენებლო სამმართველოს (უფროსი — თ. კახაძე) კოლექტივი.

● ●

სურათზე: მშენებლობის მონინავენი (მარცხნიდან) — მემონტაჟე გ. ბეზარაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი თ. დეკანოსიძე, მშენებელი გ. კურტანიძე და სამუშაოთა მწარმოებელი ნ. გოქშელიძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს

აპრილის დამდეგს თბილისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მოეწყობა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლება მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში".

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ცენტრალური პარტიული გამოცემების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები.

კონფერენციის მიზანი და დანიშნულებაა ღრმად გაანალიზოს სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად პარტიის ხელმძღვანელობა რესპუბლიკის ეკონომიკურ, სოციალურ-ადმინისტრაციულ-მეურნეობრივ ორგანიზაციულ-ორგანიზაციულ-ორგანიზაციულ-

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი

განსჯა, გამოცდილება, პრობლემები

ეხალი, 1983 წელი აღინიშნება პარტიული მუშაობის შემდგომი აღმავლობით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დასკვნების შესაბამისად.

ფრიად უდიდესი მოვლენაა ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ერთი თვის შემდეგ გაიმართება საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც განიხილავს მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლების საკითხებს.

საპატიო მოვალეობა და მაღალი მიზანი ის არის, რომ კონფერენციას შევხვდეთ ყოველმხრივ მომზადებული, მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, იდეოლოგიურ საქმიანობაში, მშრომელთა პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში.

თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიზნად უნდა დაისახოს:

შეაჯამოს ათი წლის მანძილზე გაწეული მუშაობა;

გამოკვეთოს დადებითი ტენდენციები და მოწინავე გამოცდილება;

გამოავლინოს ნაკლოვანებანი და დასახოს მათი აღმოფხვრის ქმედითი ღონისძიებები.

თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა შეძლოს იმ გარდატეხათა ჩვენება, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების მიღების შემდეგ.

კონფერენციისათვის მზადების დღეებში „კომუნისტის“ ტრადიციული გვერდი, პარტიული მშენებლობისადმი მიძღვნილი სხვა მასალები კვლავ გაგვაცნობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დადებითს გამოცდილებას, განსაზღვრავენ პარტიის ძირეული რგოლების როლს შრომითს კოლექტივებში ჯეროვანი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

ამიტომ უფრო ფართო და გულახდილი საუბრისათვის გიწვევთ პარტჯგუფორგებს, საამქრო, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს, არჩევითი ორგანოების წევრებს, პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკებს, ყველა აქტივისტს.

მოგვწერეთ საქმიანობის რა საინტერესო ფორმებსა და მეთოდებს ნერგავთ, როგორია მათი უკუგება, რა სიძნელეებს ხვდებით, როგორ გესახებათ პარტიის ძირეული რგოლის აქტიურობის ამაღლების გადაუდებელი ამოცანები.

ავტორიტეტი პარტჯგუფისა

თბილისის მეტროპოლიტენის პარტიული კომიტეტის სხდომებზე გეგმაზომიერად განიხილავენ საამქრო პარტიული ორგანიზაციებისა და პარტჯგუფების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, აანალიზებენ ვითარებას, სახავენ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებს.

პარტჯგუფების მუდმივი ზრუნვის საგანია მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლება, შემანარჩუნთა პროფესიული ოსტატობის სრულყოფა, ელექტროენერგიის მოშჯირნე ხარჯვა.

სამმართველოში შექმნილი 17 პარტჯგუფიდან ნაყოფიერი საქმიანობით გამოირჩევა სამგორდიდუბის ხაზზე მომუშავე ელექტროდეპოს საექსპლოატაციო საამქროს პარტჯგუფი, რომელსაც მემანქანე ვ. ისაკაძე ხელმძღვანელობს. კომუნისტები ეფექტიანად მუშაობენ იმისათვის, რომ კოლექტივიზმისა და ურთიერთდახმარების გრძნობა გაუღვიძონ შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრს. მოწესრიგებულია ადამიანებთან ინდივიდუალური მუშაობა, ახალბედა მემანქანეებს შეფობენ გამოცდილი დამრიგებლები. ჯგუფის თითქმის ყველა კომუნისტს აქვს მუდმივი პარტიული დავალება და კეთილსინდისიერად ასრულებს მას, 12 კომუნისტი მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების საზოგადოებრივი ინსპექტორია. ამგვარი საქმიანობის შედეგია ის, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე უბანზე არ ყოფილა საგეგმო, საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის არც ერთი შემთხვევა.

როგორც პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომმა ამ საკითხის განხილვის დროს აღნიშნა, მომავალში პარტიულ კომიტეტს მეტი მუშაობა მართებს დადებითი გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის, იმისათვის, რომ თითოეული პარტჯგუფი სამაგალითოდ საქმიანობდეს.

პარტჯგუფების კრებები ზოგჯერ სასურველ გავლენას ვერ ახდენს კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებაზე, რადგან დღის წესრიგშია მომდინარე საწარმოო საკითხები რაიმე პრობლემური ანალიზის გარეშე, სათანადო ყურადღება არ ეთმობა ნაკლოვანებათა მხილებას, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლას. ასეთ კრებებზე მიღებული დადგენილებანი ზოგადია, მათში არ არის განსაზღვრული კონკრეტული შემასრულებლები და შესრულების შემოწმებაც ფორმალური ხასიათისაა.

პარტიული კომიტეტი და პარტიული ჯგუფები გადამჭრელ ღონისძიებებს არ ახორციელებენ საკადრო პოლიტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რაც კადრების დიდ დენადობას იწვევს. საკმარისია ითქვას, რომ შარშან 11 თვეში თბილისის მეტროპოლიტენში სამუშაოდ მოვიდა 547 მუშა და მოსამსახურე, ხოლო წავიდა 262, მათ შორის 33 კომუნისტია.

დანერგილი არ არის კრიტიკულ შენიშვნებზე რეაგირების მწყობრი სისტემა. მაგალითად, სალიანდაგო დისტანციისა და საგვირაბო ნაგებობათა დისტანციის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ ღამის ცვლებში გვირაბები ცუდად მარაგდება ფაქელით. ამ ხარვეზების აღმოფხვრა არ მოხერხდა, რადგანაც სამართლიანი შენიშვნა უყურადღებოდ დატოვეს.

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მოვალეობაა კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა პარტიული ჯგუფების აქტიურობის ასამაღლებლად.

მეტი ქმედითობა

პარტიის ცხინვალის რაიკომის ბიურომ განიხილა ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილი ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიის მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ ბოლო ხანს კომისია გააქტიურდა, ეხმარება ფაბრიკის ადმინისტრაციას პრობლემების გადაჭრაში, რეზერვების ძიებასა და ამოქმედებაში. ამ კომისიას პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომებზე, პარტიულ კრებებზე გამოაქვს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები.

მაგრამ პარტიის რაიკომის ბიუროზე ისიც აღინიშნა, რომ ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის მინიჭებულ უფლებას. ღრმად და კვალიფიციურად არ ანალიზდება სამეურნეო ხელმძღვანელების, სპეციალისტების მუშაობა, შრომის პროგრესული ფორმების დანერგვა, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის შემდგომ გაძლიერებას ახლა ყურადღება ეთმობა რაიონის სხვა საწარმო-დაწესებულებებშიც.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

მოწინავე ხაზზე

ხუთწლედის ამ შუაგული წლის გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების პირნათლად განაღდებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგებში მომუშავე კომუნისტები.

ქუთაისის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის სახელობის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა ნაყოფიერად დაიწყო წლევანდელი წელი.

წარმატებებს უპატაკებენ ქვეყანას გარდაბნის რაიონის მარტყოფის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეები, ისინი მომზადებული შეხვდნენ დოლს. დათბუნებულია ფარები, დამზადებულია საკვები. აქ ყოველ 100 ნერგზე 95-100 ბატკანს იღებენ. პირველადი პარტიული ორგანიზაცია საქმის სული და გულია.

სურათებზე: შეჯიბრებაში დაწინაურდა ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მქსოველი, კომუნისტი დარეჯან ონიანი, რომელიც ერთდროულად 22 დაზგას ემსახურება. დარეჯანის ვალდებულებაა შეასრულოს ხუთწლედი ოთხ წელიწადში; მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი გივი კირულაშვილი, მეცხვარეთა ბრიგადირი კალანდარ შეიდანოვი, მეცხვარეობის ფერმის გამგე გურამ ბედიანაშვილი ამოწმებენ მოზარდეულს.

ი. დავითაშვილისა და გ. გერსამიას ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბაბაშა. (საკ. კორ. რ. რუხია).

პარტიის რაიკომი დიდ ყურადღებას აქცევს თითოეული ოჯახის — სახელმწიფო საფუძვლის — როლის ამაღლებისა და განმტკიცების, მომავალი თაობის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესის სწორად წარმართვას ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით წრთობის გაუმჯობესების საკითხებს, სწავლობს და აანალიზებს ამ მხრივ რაიონში არსებულ დადებითს გამოცდილებას.

ახლახან პარტიის რაიკომის ბიუროს სხდომაზე საქმიანი მსჯელობა გაიმართა ეწრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგის კომუნისტ ვ. ტოტოჩიას ანგარიშის გამო. ვ. ტოტოჩიამ ბიუროს მოუთხრო, თუ როგორ იღვწიან მის ოჯახში შვილების იდეურ-პოლ ი ტ ი კ უ რ ი, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის.

თვითონ ორმოც წელზე მეტია შრომობს კოლმეურნ ე ო ბ ა ში. 1948 წელს მესიმინდეობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. აქეამად იგი მეცხოველეობის ფერმას ხელმძღვანელობს, მაგრამ არც საკოლმეურნეო ფართობს აკლებს მზრუნველობას. შარშან გაპირავნებული ნახევარი ჰექტარი ნაკვეთიდან საგგმოზე ორჯერ მეტი — 50 ცენტნერი წმინდი მოიწია. მისი მეუღლე თ. ტოტოჩიაც, მიუხედავად იმისა, რომ პენსიაზეა, აქტიურად მონაწილეობს საკოლმეურნეო შრომაში.

მშობლების მაგალითისამებრ შვილებიც გამრჯენი იზრდებოდნენ. ოთხივემ პატარაობიდანვე იცოდა პატიოსანი შრომის ფასი. ისინი ამჟამადაც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში არიან ჩაბმული და კარგი ავტორიტეტი აქვთ კოლექტივებში, ამხანაგებში. ამ დიდი და მშრომელი ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობს რაიონში გაშლილ შეჯიბრებაში დევიზით „ხუთწლედი ჩემს ოჯახში“, ცდილობს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში საკუთარი წვლილის გადიდებას, კომუნისტური შრომის ოჯახის წოდების მოპოვებას.

პარტიის რაიკომის ბიურომ მოიწონა შვილების იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მხრივ კომუნისტ ვ. ტოტოჩიას ოჯახის გამოცდილება. ამასთანავე მან აღნიშნა ამ თვალსაზრისით რაიონში არსებული ნაკლოვანებებიც და დაავალა პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ყოველი ღონე იხმაროს მათი გამოსწორებისათვის, თითოეული ოჯახის შემდგომი განმტკიცებისა და მისი როლის განუხრელი ამაღლებისათვის.

განვამტკიცოთ ძირეული რგოლი

კლენუმისათვის მზადების დღეებში

გამზნული ხასიათი მიიღო საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრების, აპარატის პასუხისმგებელი მუშაკების, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგების შეხვედრებმა შრომითს კოლექტივებთან. პრაქტიკაში დამკვიდრდა შრომითს კოლექტივებში გასვლისას მშრომელთა ადგილზე მიღება, „ღია წერილის დღის“ მოწყობა, ადამიანებთან ურთიერთობის სხვა ღონისძიებანი, რომელთა შედეგებს განიხილავენ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე, ოპერატიულ ზომებს იღებენ მშრომელთა მიერ გამოთქმული საბარათელი შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციისათვის.

საოლქო კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე პლენუმისათვის მზადების პროგრამით განხილულ იქნა 22 საკითხი პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. ყველა დადგენილებას დაუწესდა კონტროლი და პერიოდულად მოწმდება მათი შესრულების მიმდინარეობა.

საოლქო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ანალიზს. ყველა ეს ინფორმაციული ხასიათის ბიულეტენი, ოპერატიული ინფორმაციები, ანალიზი, ინფორმაციული ცნობა, ანალიზი, ინფორმაციული ცნობა, ანალიზი, ინფორმაციული ცნობა

შეერთებული შრომის მაღლი

გვესაუბრება საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი რ. მემარნიშვილი

მარნეულის რაიონი უკვე მეშვიდედ დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ეს ფაქტი თავისთავად ლაპარაკობს მარნეულელ მშრომელთა ნაყოფიერ გარჯაზე, მათ მიღწევებზე სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და საერთოდ ეკონომიკაში. გარდამავალი დროშა დასტურია იგრეთვე მის მომპოვებელთა მორალურ-ეთიკური, პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობის კიდევ უფრო გაღვივების, კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისა, რამეთუ საკვეყნო, სამამულიშვილო საქმეებს ყოველთვის რწმენითა და იმედით აღსავსე ადამიანები აკეთებენ. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის სურვილია, რომ სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბროთ ჩვენს მკითხველებს. დავიწყოთ სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებით.

10 წლის წინათ მარნეულელი მხვნელ-მთესველები წელიწადში 20 მილიონი მანეთის პროდუქციას ქმნიდნენ, დღეს 32 მილიონი მანეთის სურსათ-სანოვაგეს აძლევენ ქვეყანას. შეგვიძლია ასე ვთქვათ, რომ ყოველ სამეურნეო წელიწადს მილიონით და კიდევ უფრო მეტად ვიზრდებოდით. რა-გორ? ჯერ ისევ ციფრების ენით ვილაპარაკოთ. ათი წლის წინათ 14 ათასი ტონა ყურძენი მოგვყავდა, ახლა 20 ათას ტონაზე მეტს ვკრეფთ, მაშინ 1400 ტონა ხორცს ვაწარმოებდით, ახლა ქვეყანას ვაძლევთ 2200 ტონას. მაშინდელი 4500 ტონის ნაცვლად 7.600 ტონა რძეს ვწველით. თითქმის გასამკეცდა ბოსტნეულის მოსავალი. 10 წლის წინათ ჩვენს საზოგადოებრივ მეურნეობებში 25 ათასი ტონა ბოსტნეული მოჰყავდათ, შარშან 74 ათასი ტონა ბოსტნეული მოვიწიეთ. უწინ საადრეო კარტოფილს სულ არ ვთესავდით, შარშან კი 42 ათასი ტონა საადრეო კარტოფილი ამოვიღეთ და აქედან თითქმის მოსავლის ნახევარი საკავშირო ფონდში გავგზავნეთ.

ეს აღიარება, რა თქმა უნდა, იოლად არ მოსულა.

როდესაც ამაზე ვლაპარაკობთ, უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ ისინი, ვისმა გარჯამაც ეს სასიხარულო წარმატებები მოგვიტანა.

სადახლოს საბჭოთა მეურნეობაში თავისი წინამორბედის, სოციალისტური შრომის გმირის ისა ხალილოვის საქმეს სახელოვნად განაგრძობს ცნობილი მეთმბაჭოე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ილიაზ შამშიევი. მან შარშან თითოეულ ჰექტარზე 18 ცენტნერის ნაცვლად 20 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა.

ხილ-ბოსტნეულის მწარმოებელ მეურნეობათა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა მარნეულის რაიონის „გამარჯვების“ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ქემალ მამედოვი, მთავარი აგრონომი ანზორ კალანდაძე).

ამ მეურნეობაში შრომობს სახელოვანი მექანიზატორი, მეტრაქტორეთა ბრიგადირი ორუქ მეხტიევი. კაცთმოყვარე და გამჯელკაცი, ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდილი და ახლობლებისთვის ერთა ძმობის მქადაგებელი. ორუჯ მეხტიევი ახლახანს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

მეურეთლის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — მიხეილ შუბითიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — თენგიზ კაპანაძე) დიდი ყურადღებით ეკიდებიან ჰექტარობრივი მოსავლიანობის ზრდას. თანაც ამას აკეთებენ ისეთ სახეობებში, რომლებზედაც უფრო მეტი მოთხოვნილებაა. მშრომელებს უფრო და უფრო მეტ პამიდორს, ხახვს, კომბოსტოს და საადრეო კარტოფილს აწვდიან.

გივი ბარბაქაძისა და მაფიონ ხაჩატურიანის ბრიგადებს გეგმით შარშან ჰექტარზე 180 ცენტნერი ბოსტნეული უნდა მოეყვანათ. მეგობრები ერთმეორეს იჯიბრეობდნენ, ხოლო შედეგი ქვეყანას სიკეთედ წაადგა. ხაჩატურიანის ბრიგადამ ჰექტარზე 215 ცენტნერი ბოსტნეული მიიღო, ბარბაქაძის ბრიგადამ კი 230 ცენტნერი.

შუმბინანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — გიორგი აკოფიანი, მთავარი აგრონომი — გიორგი გიორგაძე) ბოლო წლებში შრომობენ სიმეჩხრის აღმოსავლეთელად, ჰექტარობრივი მოსავლიანობის გასადიდებლად. საგეგმიზე ბევრად მეტი ყურძენი მოიწიეს ბაგმარ ბაბაევისა და გიორგი სარჭისიანის ბრიგადებმა. მთლიანად მეურნეობამ კი 4000 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს.

— ამ ბოლო წლებში დიდად გაიზარდა მარნეულის რაიონის მრეწველობა...

ეს ეუშარიტებაა და მის უკეთ წარმოსაჩენად ერთი მთავარი ციფრი გავიხსენოთ; რაღაც ათიოდე წლის წინათ რაიონის ფაბრიკა-ქარხნებში წელიწადში 80 მილიონი მანეთის პროდუქცია მზადდებოდა. ახლა ეს მაჩვენებელი სამჯერ და უფრო მეტადაც გაიზარდა. დღეს ჩვენი მრეწველობა 324 მილიონი მანეთის პროდუქციას იძლევა. ამ მილიონებით მარნეული რესპუბლიკის ერთ-ერთ სამრეწველო ცენტრად იქცა.

საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული“ რესპუბლიკის მშენებლობს და საშენ მასალათა მწარმოებელ ქარხნებს ინერტული მასალების 70 პროცენტს აძლევს. ამ დიდ და ძლიერ კოლექტივში თითქმის ყველა ეროვნების ადამიანები ირჯებიან. ყველანი ძმებივით შრომობენ და ცხოვრობენ. კაცურკაცობის საკეთილო მაგალითებს იძლევიან „საქარამადნეულის“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე დათუაშვილი, იმირის სამსჭვრეტ-დამხარისხებელი სადგურის დირექტორი რევაზ ჩხაიძე, ლეუბადინისა და მუღანლოს საკარიერო სამმართველოების უფროსები თახირ რუსტამოვი და ოსმან ნამაზოი.

ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ვახიდ ნაგრამოვსა და სერგი ვისოვენის ზეინკალ-მემონტაჟეთა, გურამ მეშველიანის და ლაზარე ბოზოვის დამტვირთავთა ბრიგადები. ამ საწარმოშია ბოზოვების თითქმის მთელი ნათესაობა. ჩვეულებრივ ამბად იქცა ოჯახური დინასტიები შრომაგაერთიანება „საქარამადნეულში“ ირჯებიან ქართველი ზაქალაშვილები, აზრბაიჯანელი ბაზრამოვები, სომეხი მისკარიანები.

ამიტომაც ეს შრომითი კოლექტივი 10 წლის განმავლობაში 42-ჯერ ფლობდა სსრ კავშირის საშენ მასალათა სამინისტროს გარდამავალ წითელ დროშას, ორჯერ მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

შულავერში 11 ეროვნების ხალხი ცხოვრობს. აქაურები სიამაყით იტყვიან ხოლმე: საქართველოში პირველად ჩვენთან გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. მართლაც 25 თებერვლამდე თითქმის 10 დღით ადრე, 1921 წლის 16 თებერვალს, შულავერში საბჭოთა წყობილება დამყარდა. ამის შემოქმედნი იყვნენ ლენინური ინტერნაციონალიზმის დროშით გაერთიანებული, ძმობითა და მეგობრობით შედუღაბებული სხვადასხვა ეროვნების შვილები, რომლებიც იმთავითვე ახალი ქვეყნის ასაშენებლად იყვნენ მოწოდებულნი.

შულავერში რამოდენიმე საწარმოა. განსაკუთრებით ცნობილია თავისი მწარმოებლობით მატყლის პირველადი გადამუშავების ქარხანა. აქ შარშან 241 მილიონი მანეთის პროდუქცია დაამზადეს. ამ „მილიონების შექმნაში“ აქტიურად მონაწილეობდნენ მატყლის დამხარისხებლები მალეიკა ალიევა და დარეჯან ჩიკლაური, დამტვირთავთა ბრიგადები ნიკოლოზ ფოფხაძისა და არამ ოგანეზიანის წინამძღოლობით.

ნაყოფიერად შრომობენ მარნეულის რაიონის საშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციები. მარტო შარშან მშენებლებმა 24 მილიონი მანეთის საქმე გააკეთეს. ტრანსპორტელებმა დროულად გადაზიდეს 9 მილიონი მანეთის სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ავტოტრანსპორტის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელებს გურამ გოგიჩაიშვილს, არფი იოსეფოვს და ორუჯ მანსუროვს მშვენივრად უბამენ მხარს თავიანთი გარჯით დუნსუნ ჯაფაროვის, მახმუდ ფარზალიევის, გიორგი ბადალოვისა და გიორგი მიკირტუმოვის ავტომძღოლთა და ავტომექანიკოსთა მოწინავე ბრიგადები.

ამ საუბრისას შეუძლებელია ყველა სახელოვანი შრომელის გახსენება. ის კი არ უნდა დავიწყოთ, რომ მარნეულის რაიონის ახლანდელი წარმატებები. სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანების ერთობლივი გარჯის ნაყოფია. იმათი ნაშრომია, ვისთვისაც ესოდენ ძვირფასია მშობლიური რაიონის ღირსება.

— შეძლებული და ლაღი ცხოვრება დოვლათს მოაქვს. იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ, თუ როგორი იყო მარნეული უწინ და როგორ ცხოვრობენ აქაურები დღეს.

ეს მადლიანი მიწა მაშინაც არსებობდა, მაგრამ ფასი ნაკლები ჰქონდა, რადგან მას ღირსეული პატრონი არა ჰყავდა, ამიტომ ახლანდელივით ზღვა მოსავალს არ იძლეოდა. გლეხები მიწურებში ცხოვრობდნენ. უფრო „მდიდარ კაცს“ სხვებთან შედარებით მოზრდილი მიწური ჰქონდა. ეს იყო და ეს. ხრიენულელ ხანდაზმულებს ყველაფერი ახსოვთ: თავად ბორჩალოში (ასე ერქვა მაშინ მარნეულს) ურმებში ტაატით დადიოდნენ. გაუვალ ტალახში ეფლობოდნენ, ჩამოხეულ-ჩამოკონკილი, დაფლეთილი გლეხები ზარ-კამეჩს ეშველებოდნენ და ურმებს წვალებით მიათრევდნენ...

და დღეს მდიდარია მარნეულის რაიონი, ყოველი დაბა, ყოველი სოფელი, წელგამართულად ცხოვრობენ მიწისა თუ დაზგის მშრომელები.

რაიონში ახლა 87 საშუალო და რვაკლასიანი სკოლაა. და კიდევ — სკოლა-ინტერნატები, პროფტექნიკური სასწავლებლები, მუსიკალური სკოლები.

ვმრავლდებით. ჩვენი მოზარდი თაობისათვის კვლავაც აშენდება სკოლები. განა სულ ახლახანს არ შევიდნენ ახალი სკოლის შენობებში თამარისელმ, ტაბაკენტელი და სადახლოელი ბავშვები?

ათიოდე წლის წინათ აიგო საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომისა და რაისაბჭოს ალმასკომის მშვენიერი შენობა. აქვე ახლოს აშენდა ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, სავაჭრო ცენტრი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, 50 ტონა სადღეღამისო მწარმოებლობის პურკომბინატი, „კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის შენობა, ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური. მალე საქმესაც ალაგიდ გადაეცემა დიდი ელექტროსადგური, მისი აშენება 30 მილიონი მანეთი დაჯდა. აიწყო ჩვენს ქვეყანაში უნიკალური პნევმოტრანსპორტი, რომლის საშუალებითაც ინერტული მასალები ლილოში ეგზავნება. შენდება 500-ადგილიანი კულტურის სასახლე. მალე რაიონს ეშენება ექვთიმოწყობილი 500-საწოლიანი საავადმყოფო, თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილი; აქაურ ექიმებს გაუადვილდებათ მშრომელთა დროული და ეფექტიანი მკურნალობა.

რაიონში ჩქეფს კულტურული ცხოვრება. თითქმის ყოველ სოფელში არის კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სისტემატურად ვხსნით ახალ მაღაზიებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონებს. უკვე ალარ არის ისეთი ოჯახი, რომ არ ჰქონდეთ რადიომიმღები, ტელევიზორი, მაცივარი. სტატისტიკა სავსებით გარკვევით გვეუბნება, რომ მარნეულის რაიონში ყოველო მეოთხე ოჯახს აქვს მსუბუქი ავტომანქანა.

შრომამ დოვლათი შექმნა, დოვლათმა განათლებას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას გაუღო კარი. შეძლებულად და გაბმართულად ცხოვრობენ მარნეულის რაიონის მრავალეროვანი ადამიანები.

— სიტყვამ მოიტანა და ახლა მარნეულელთა ინტერნაციონალურ ცხოვრებაზე, ადამიანთა ამ სულისკვეთებით აღზრდაზე ვისაუბროთ.

მარნეული მჭიდროდ დასახლებული რაიონია. აქ ცხოვრობს და შრომობს 30-მდე ეროვნების ადამიანი.

პარტიის მარნეულის რაიკომის გადაწყვეტილებით შექმნილია ინტერნაციონალური აღზრდის საკოორდინაციო საბჭო. ჩვენს საქმიანობაში დიდ პრაქტიკულ დახმარებას გვიწევს ჩვენი შეფი, საქართველოს კომპარტიის თბილისის კალინინის რაიკომი. ამდენად, გვაქვს მუშაობის საერთო გეგმა, რომელიც თვალისწინებს მშრომელთა სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებში ლექცია-საუბრების მოწყობას, შეხვედრებს ომისა და შრომის ვეტერანებთან, პოეტებთან და მწერლებთან, მეცნიერ და შემოქმედ ინტელიგენციასთან.

ყოველწლიურად 11 აგვისტოს „წითელ ხიდთან“, იქ, სადაც ერთმანეთს ესაზღვრება სამი მოძმე რესპუბლიკა — საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, იმართება ხოლმე ეროვნებათა ინტერნაციონალური დღესასწაული. ზეიმობენ ჩვენი რესპუბლიკის მარნეულის, აზერბაიჯანის ყაზახისა და სომხეთის ჯავანის რაიონების სამივე თაობის მშრომელები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

უკვე ტრადიციად დამკვიდრდა სახალხო დღესასწაული „მამულიშვილობა“, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ წერაქვში იმართება. ბარეთ ისიც გავიხსენოთ, თუ როგორ მოწადინებითა და რუდუნებით გაჰყავდათ მოასფალტებული გზა ჩვენი რაიონის სხვადასხვა ეროვნების მშრომელებს, როგორ აღადგინეს წერაქვში სკოლა, როგორ გაამშვენიერეს აქაურობა, ყოველდღიურად უვლიან და პატრონობენ სახელოვანი წინაპრის სამშობლო კუთხეს.

ცნობილი პარტიული და საზოგადო მოღვაწე ნარიმან ნარიმანოვი სწორედ მარნეულის რაიონში შრომობდა. მადლიერმა მარნეულელებმა მას ძეგლი დაუდგეს. ძეგლის გახსნა მრავალეროვანი რაიონის დიდ ზეიმად იქცა.

ჩვენი რაიონის მშრომელები ხან კახის რაიონს ესტუმრებიან, ხან გურჯაანელებს, ჩვენთანაც ჩამოდიან სტუმრები.

ახლახანს ჩვენი შრომითი კოლექტივები „რესპუბლიკის დედაქალაქს“ ეწვივნენ. დავათვალიერეთ ვ. ი. ლენინის, ხალხთა მეგობრობის და ღია ცის ქვეშ გამართული ეთნოგრაფიული ზეიმუმები. გვირგვინებით შევამკეთ უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ოპერის თეატრში მოვისმინეთ სპეციალურად მარნეულელებისათვის დადგმული „ქეთო და კოტე“.

— თქვენი ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მერე უშუალოდ ადამიანთა ურთიერთობაში ყოველივე ეს როგორ იჩენს ხოლმე თავს?

ვილაპარაკოთ თუნდაც მრავალეროვან შულავერზე. აქ რამოდენიმე სკოლაა. პედაგოგებს არ უნდა უჭირდეთ ბავშვების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდა, რამეთუ ამ კარგ შეგნებას ბავშვებს შმობლები უნერგავენ. მოზარდებს შესისხლხორცებული აქვთ მეზობლისა და მომძმის პატივისცემა და სიყვარული.

შულავერში სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობს ვაჰიტ რზაევი. ერთხელ მას უთქვამს: თუ ვინმე საგანგებოდ არ შემახსენებს, მავიწყდება, რომელი ეროვნებისა ვარო. ჯემალ არჩემაშვილთან მეგობრობს, სკოლაში ერთად სწავლობდნენ, ინსტიტუტიც ერთად დაამთავრეს, მერე ერთიმეორის ქორწილებიც გადაიხადეს.

მე, რაიკომის მდივანმა ყველაფერი ეს მაშინ შევიტყვე, როცა ორივენი თხოულობდნენ: ბინა გინდაც ნაკლები ფართობისა იყოს, ოღონდ ერთ სადარბაზოში, მეზობლად მოგვეცითო.

ერთხელ ყულარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ხალიდ ალიევი ორ თავის კოლეგას ეუბნებოდა: თქვენ სოფლებში მხოლოდ თითო ეროვნების ადამიანები გყავთ, რა ღმერთი თუ ალაჰი გიწყრებათ, რომ მაგდენი მეზობლური დავა გქონიათ გადასაწყვეტი? აი, ჩვენს სოფელში 11 ეროვნების ხალხი ცხოვრობს და ერთიმეორეს თვალში რომ ჩაუვარდნენ, ხელს არ მოისვამენო.

— როგორ ახერხებთ იგივე მუშაობასო, — ჰკითხეს გაკვირვებულმა.

ერთმანეთი გვიყვარს, პატივს ვცემთ, ანგარიშს ვიწევთ. თუ საჭიროა, ვუთმობთ კიდევაც. თქვენი არ ვიცი, ჩვენთან კი მეზობლურ საკითხებზე სასოფლო საბჭოში ჩვეული დიდ სირცხვილად ითვლება, — უპასუხა ხალიდ ალიევმა. რაღა თქმა უნდა, რომ ყველაფერ ამაში მკაფიოდ ჩანს: ინტერნაციონალიზმი თავის კეთილ საქმეს აკეთებს.

აი, იმავე ხალიდ ალიევის ნაამბობი: ჩემი ძმის მეზობლად ერთი ქართველი მოხუცი მეწისქვილე ცხოვრობს. ტკბილი კაცია ძია ალექსანდრე. ჩვენს ნათესაობას იმის ამაგი როგორ დაგვავიწყდება! საწყალი ჩემი ძმა ტრაღიკულად დაიღუპა, მოხუცი ამ მოგვშორება. იმან გაპატიოსნა მიცვალებული. ჭირისუფლად იტრიალა. ახლაც ჩვენი რძალი და ძმისშვილები ხომ იქ მოცალობის ჟამსა ჩადიან ხოლმე. ალექსანდრე ძია უვლის იქაურობას. აი, წლეულსაც ჯერ ჩემი ძმისეული ვენახი გასხლა, მერე თავისი.

— როგორ გესახებათ მარნეულის რაიონის სამომავლო შრომითი გეგმები?

როგორც 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა, მიმდინარე ხუთწლედის მესამე წელიწადი ყველა კომუნისტისაგან, ყველა მშრომელისაგან მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობას, ეფექტიან შრომას, ხოლო ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება სახელმწიფო შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას წარმოების ყოველ უბანზე, მართვის ყოველ ფეხზე.

მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენს სამმამავლო გეგმებში საორკეოფო არაფერია. როდის იყო, რომ მიღწეული გვაკმაყოფილებდა. ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელება ჩვენგან ისეთ მტკიცე მუშაობას მოითხოვს, რომ დღევანდელი გეგმები დღე მიღწევები ძირფესვიანად შეირყევა.

ქვეყანას მეტი დოვლათი სჭირდება. დოვლათს კი რა მოაქვს, მშვენივრად ვიცით. ასე რომ, მარნეულის რაიონის სამომავლო შრომითი გეგმები მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებით გვესახება.

საუბარი ჩაიწერა

ჯემალ ქურხულმა.

● ინდოეთი

მიუმხრობლობის მოძრაობის ფორუმი

გაიხსნა მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-7 კონფერენცია.

დელი. ინდოეთის დედაქალაქში ხაზინამ ვითარებაში გაიხსნა მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-7 კონფერენცია. მიუმხრობლობის მოძრაობის ამ უდიდესი ფორუმის დღის წესრიგშია გამოლებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა ბირთვული შეიარაღების ალაგმვის, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების, კოლონიალიზმისა და რასიზმის უკანასკნელი კერების ლიკვიდაციის, თანასწორუფლებიან და სამართლიან საფუძველზე ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის მიღწევის დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

კონფერენცია გახსნა მიუმხრობლობის მოძრაობის წინა, ჰავანაში გამართული ფორუმის თავმჯდომარემ, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფიდელ კასტრომ.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა მიუმხრობლობის მოძრაობის ახლანდელმა თავმჯდომარემ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ.

ფორუმის მონაწილეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებამ მიუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-7 კონფერენციის თავმჯდომარის ინდირა განდისადმი. მათ დიდი კმაყოფილებით აღიქვეს საბჭოთა კავშირის განცხადება იმის თაობაზე, რომ თავიანთი სამართლიანი მისწრაფებების განხორციელებაში მიუმხრობელ ქვეყნებს ყოველთვის შეუძლიათ იქონიონ სსრ კავშირის კეთილი ნებისა და თანამშრომლობის იმედი.

გაიმართა კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

დელეგატებმა ერთხმად აირჩიეს მიუმხრობლობის მოძრაობის ოთხი ახალი წევრი: ბაგამის კუნძულების თანამეგობრობა, ბარბადოსი, კოლუმბია და ვანუატუ. ამგვარად, მიუმხრობლობის მოძრაობის სრულუფლებიან წევრთა რიცხვმა 101-ს მიაღწია.

● იტალია

ყრილობა დამთავრდა

ვილანი. მუშაობა დაამთავრა იტალიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობამ. ხუთ დღეში მის ტრიბუნაზე გამოვიდა 54 დელეგატი. მათ განიხილეს იტალიის წინაშე მდგომი ძირითადი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მინაპარტიული დემოკრატიის საკითხები, საერთაშორისო მდგომარეობა და იტალიის კომპარტიის წინადადებები მწვავე კრიტიკული სიტუაციიდან ქვეყნის გამოყვანის შესახებ.

მუშაობის ბოლო დღეს მიიღეს პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც მანამდე განიხილეს პარტიის ადგილობრივ, პროვინციულ, საოლქო ორგანიზაციებში. ყრილობაზე კენჭისყრის შედეგად დოკუმენტის ტექსტში 30-ზე მეტი დამატება და შესწორებაა შეტანილი. დელეგატებმა დიდი უმრავლესობით მოიწონეს ე. ბერლინგუერის საანგარიშო მოხსენება და მისი საბოლოო გამოსვლა.

არჩეულია იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია. შემდეგ გამართულ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე იტალიის კომპარტიის გენერალურ მდივნად კვლავ აირჩიეს ე. ბერლინგუერი, იტალიის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომიტეტის თავმჯდომარედ — ა. ნატა.

კულტურის ქრონიკა

შუაღლესი კლასის სპექტაკლი

დამთავრდა „რუსთაველის“ გასტროლები საფრანგეთში

„უმაღლესი კლასის სპექტაკლი“ — ასე შეაფასა საფრანგეთის პრესამ „რუსთაველის“ მოცეკვავეთა, მომღერალთა, მუსიკოსთა გამოსვლები. „ოლიმპიაში“ ანსამბლის პირველივე კონცერტების შემდეგ პარიზის გაზეთი „ფიგარო“ წერდა: „საბჭოთა საქართველოდან — შორეული ძველი კოლხეთიდან, უძველესი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყნიდან ჩამოსულმა მსახიობებმა საოცრად ლამაზი სპექტაკლი გვიჩვენეს. მაყურებელს განაცვიფრებს მოცეკვავე მამაკაცების ოსტატობა, ქალების გრაცია. ვაჟთა გუნდის ინტერპრეტაციით შესრულებული ხალხური სიმღერები აღსავსეა პოეზიით, უჩვეულო და წარმტაცი პარმონიით. ანსამბლ „რუსთაველის“ მეოხებით ფრანგ მაყურებელს შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა ქართველი ხალხის მკაფიო და თავისებურ ხელოვნებას“.

ქართველი მსახიობები განაგრძობენ გასტროლებს შვეიცარიასა და ბელგიაში.

ფოტოინფორმაცია

● ანგოლა

რევოლუციის საღარაჯოზე

სახალხო თავდაცვის ორგანიზაცია შეიქმნა, როგორც მუშათა და გლეხთა ორგანიზაცია ანგოლის რევოლუციის ხელმძღვანელის აგოსტინო নეტოს ინიციატივით. ამჟამად მის რიგებში გაერთიანებულია მილიონზე მეტი კაცი და ქალი. სახალხო შეიარაღებულ ძალებთან ერთად ისინი აქტიურად მონაწილეობენ პრეტორიის რასისტთა და უნიტას კონტრრევოლუციური ბანდების აგრესიული აქტების აღკვეთაში, უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკური ობიექტების უსაფრთხოებას და ყველა ღონეს ხმარობენ მტრის დივერსიული აქტების თავიდან აცილებისათვის.

სურათზე: სახალხო თავდაცვის ორგანიზაციის ქალთა რაზმები პარადზე.

საკდესის ფოტო.

ამერიკის ნამდვილი სახე

ვაშინგტონი მფარველობს მკვლელებს

...მას ხშირად ნახავდით ბარით ხელში მყუდრო ბაღში, რომელიც გარს აკრავს ასევე მყუდრო კოტეჯს გრინლოხში ლონგაილენდზე. ხოლო ზოგჯერ უბრალოდ იჯდა გრეხილ სავარძელში სახლის კართან და ჰაღარა ჭოჩორს უშვერდა ატლანტიკიდან მონაბერ თბილ ქარს. „დღე მშვიდობისა, მისტერ ლინსს!“ — მიესალმებოდნენ მეზობლები და იგი ღიმილით უპასუხებდა ხელს...

გრინლოხიდან, რომელიც ნიუიორკის მახლობლად მდებარეობს, ნიუ-ბრანსუიკამდე (ნიუ-ჯერსის შტატი) ორი საათის სავალია. იქ ადვილი მოსაძებნია სახლი, სადაც მშვიდად და უშფოთველად თავის დღეებს ითვლის სერგი ხუტორჩუკი... სამხრეთისაკენ ცოტა მომრრებით — ფილადელფიაში, პენსილვანიის შტატში შეიძლება გაეცნონ ძმებს სერგი და მიკოლა კოვალჩუკებს, ხოლო „ამერიკის მარგალიტში“ — ფლორიდის შტატში შეზვდეთ ბოგდან კოზის. თუმცა, შეიძლება ნიუ-იორკითაც დავკმაყოფილდეთ, სადაც ადამიანთა ზღვაში აქა-იქ გაიელვებს ხოლმე ჭაღარათმიანი სტატსის ჩენკუსი ან ელმარს სპროგისი...

ზოგ-ზოგები მათ „უწყინარ მოხუცებს“ უწოდებენ, და მეზობლებს აზარადაც არ მოსდით, რომ ორმოცი წლის წინათ ისინი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები და ჯანღონით სავსენი, ძარცვავდნენ, აწამებდნენ და ხვრეტდნენ. კარლ ლინასს, მაგალითად, იცნობენ არა მარტო გრინლოხის მცხოვრებლები. იგი ესტონეთის ქალაქ ტარტუშიც ახსოვთ როგორც ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი, რომელსაც ხელები ათასობით ნაწამები ადამიანის სისხლში აქვს გასვრილი. ასობით მკვლელობანია ბელორუსიაში სერგი ხუტორჩუკის „ნამსახურობის“ სიაში. პოლიციელი კოვალჩუკები მხეცობას სჩადიოდნენ უკრაინასა და პოლონეთში. უკრაინელთა სისხლით გაიკეთა „კარიერა“ ნაცისტებთან ბოგდან კოზიმ. ხოლო ჩენკუსი და სპროგისი ანგარიშს უსწორებდნენ ლიტველებსა და ლატვიელებს.

ყველა ხალხის ენაზე ამას კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული ჰქვია. მაგრამ რა ვუწოდოთ მათ, ვინც მილიონთა ხსოვნას ბღალავს და მზრუნველად უმალავს მართლმსაჯულებას ჯალათებს? თვით ამერიკის პრესის „ინფორმაციებიდან“ მარტო შეერთებულ შტატებში ამჟამად მშვიდად ცხოვრობს სამი ათასამდე ნაცისტი სამხედრო დანაშავე, რომელთა სინდისზეა ორ მილიონზე მეტი კაცის მოსპობა.

ეამთასვლა გარდაუვალია. გარდაუვალია ის ჯიუტი ფაქტიც, რომ მეორე მსოფლიო ომი ჯერ დამთავრებულიც არ იყო, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მუხანათურად დაარღვია ჩადენილი მხეცობისთვის ჰიტლერელთა პასუხისმგებლობის შესახებ 1943 წლის 30 ოქტომბრის მოსკოვის დეკლარაციიდან გამომდინარე ვალდებულებები.

სსრ კავშირთან და ინგლისთან ერთად ამერიკის მიერ მიღებული ეს დეკლარაცია ითვალისწინებდა გასასამართლებლად და დასასჯელად სამხედრო დანაშაულების იმ ქვეყნისათვის გადაცემას, ომის ტერიტორიებიდან ჩადენილ ტერიტორიებზეც მათ ბოროტმოქმედება ჩაიდინეს.

ომის შემდეგ ამერიკელებიც ეძებდნენ ნაცისტ ჯალათებს, იქექებოდნენ ეგრეთ წოდებულ „გადაადგილებულ პირთა ბანაკებში“. ოღონდ მათ სულ სხვა მიზანი ჰქონდათ, ვიდრე მათი მართლმსაჯულებისათვის გადაცემა. ამერიკის სპეციალისტთა ძვირფას „კადრებს“. თავისი ცინიზმით ამაზრზენ ამ საიდუმლო ოპერაციაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი ოფიციალური უწყებების, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტის, გამოძიების ფედერალური ბიუროს, არმიის წარმომადგენლები. ვაშინგტონის მკრეხელურ მოქმედებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ომის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები იმ სამხედრო დანაშავეთა უდიდესი თავშესაფარი გახდა, რომლებსაც ეძებენ სსრ კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიის, დანიის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და ბელგიის თავრობები.

ამერიკაში გადაყვანილ და ხალხთა გულისწყრომისაგან შეფარებულ დამნაშავეთაგან ქმნიდნენ „აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ექსპერტთა“, „ცივი ომის“ წარმოების „მრჩეველთა“ ჯგუფებს. ზოგიერთებს დღემდე მაღალი პოსტები უჭირავთ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, სახელმწიფო დეპარტამენტში, პენტაგონში, მუშაობენ „ამერიკის ხმის“, „თავისუფლების“ და „თავისუფალი ევროპის“ ძირგამომთხრელ რადიოსადგურებში. 300-ზე მეტი ნაცისტთა ჯალათებისათვის გადაცემა. ამერიკის სპეციალისტების აგენტურა აგროვებდა... „საბჭოთა კავშირის საკითხების სპეციალისტთა ძვირფას კადრებს“ ... ამერიკელ ექიმებს ... ბაქტერიოლოგიურ ... ომებისა ... ეფექტიანობა ... ადამიანებზე ... ექსპერიმენტებს ... ადამიანებზე ... ექსპერიმენტებს ... ადამიანებზე ... ექსპერიმენტებს ... ადამიანებზე ... ექსპერიმენტებს ... ადამიანებზე ... ექსპერიმენტებს ... ადამიანებზე ... ექსპერიმენტებს ... ადამიანებზე ... ექსპერიმენტებს ... ადამიანებზე ... ექსპერიმ

მოძრაობის უსაფრთხოების ინტერესებისათვის

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის დედაქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცების საკითხი.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები იღებენ მშრომელთა წერილებს, საჩივრებსა და განცხადებებს, რომლებიც ისინი გამოხატავენ უკმაყოფილებას საქალაქო ტრანსპორტზე და, განსაკუთრებით, მოძრაობის ორგანიზაციის უსაფრთხოებაში სახელმწიფო წესრიგის მთელ რიგ დარღვევათა გამო.

მოკლე პერიოდში თბილისში მოხდა ორი სერიოზული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლებიც გამოიწვია მძღოლების მიერ საგზაო უსაფრთხოების წესების უხეშმა დარღვევებმა, და ადამიანების დაღუპვა და სერიოზული ტრავმები მოჰყვა.

25 თებერვალს დილის ათის ნახევარზე „რაფ-2203“ მარკის სამარშრუტო ტაქსი, რომელიც თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების № 2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ეკუთვნის და № 25 მარშრუტზე რეისს ასრულებდა (მეტროპოლიტენის სადგური „ელექტროდეპო“-გლდანის მასივი), ავტალის გზატკეცილზე № 8 მარშრუტის ტრამვაის შეეჯახა. ავარიის შედეგად მიკროავტობუსის 8 მგზავრი დაშავდა და ისინი ნაჯაგარყოფაში მოათავსეს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მიზეზი იყო მიკროავტობუსის მძღოლის მიერ გასწორების წესების უხეში დარღვევა.

3 მარტს დაახლოებით დღის 3 საათზე № 2 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილი „რაფ-2203“ მარკის სამარშრუტო ტაქსი, რომელიც იმავე მარშრუტით ასრულებდა რეისს, გლდახის მასივის ტერიტორიაზე შეეჯახა საქჰიდროენერგომშენის „ტრესტზე“ მომგაგრეულ „კამაზის“ მარკის ავტომანქანას. ავარიის შედეგად დაიღუპა ექვსი კაცი, მათ შორის მიკროავტობუსის მძღოლი, ხოლო 10 კაცი მძიმედ დაშავებული საავადმყოფოში მოთავსებული. წინასწარი მონაცემებით, ამ შემთხვევის მიზეზი იყო ორივე მძღოლის მიერ გზებზე მოძრაობის წესების უხეში უგულებელყოფა. მიკროავტობუსის მძღოლმა დაარღვია აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის წესი: დადგენილი 11 კაცის ნაცვლად სალონში 15 მგზავრი იყო.

ასეთი შემთხვევების იწვევს ავტოსატრანსპორტო საწარმოს საქმიანობის სერიოზული ნაკლოვანებანი, კოლექტივში შრომისა და საწარმოო დისციპლინის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. კერძოდ, მძღოლებს სისტემატურად გადაჰყავთ მგზავრები დადგენილი ნორმის გადამეტებით, რის გამოც უარესდება მანევრირება და იზრდება ავარიის საშიშროება. აქ სათანადო ყურადღება არ ექცევა პარკის ტექნიკურ მომსახურებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას, მძღოლთა რეისისწინა სამედიცინო შემოწმებას. ამ საწარმოს მუშაკთა ძალზე დაბალ დისციპლინაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მარტო წლევანდელ ორ თვეში 33 მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესები, 6 მათგანს აეკრძალა მანქანის მართვა სხვადასხვა ვადით.

ამასთან საწარმოს ხელმძღვანელობა სათანადო ღონისძიებებს არ მიმართავს კოლექტივში დისციპლინის განმტკიცებისათვის, ამ საკითხებში წაყოლების არჩევს. სათანადო წესრიგი არ არის დაყარებული კადრების შერჩევასა და განაწილებაში. მაგალითად, № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარ ინჟინრად დაინიშნა რ. ფორჩხიძე, რომელმაც თავი ვერაფრით გამოიჩინა ადრინდელ სამუშაოზე — № 1 მსუბუქი ტაქსების ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე.

№ 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია არ იდგა კოლექტივში დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის ავანგარდში. პარტბიურომ ავტორიტეტის დაქვეითებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მას სათავეში ედგა დ. ხარჯმაძე, რომლის, როგორც ექსპლოატაციის განყოფილების უფროსის, საქმიანობაში ორჯერ აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებები, რისთვისაც 1980 და 1981 წლებში საყვედური, ხოლო 1982 წელს სასტიკი საყვედური გამოეცხადა.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი ნ. ტყემალაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან და გაირიცხა სკკპ რიგებიდან.

იმისათვის, რომ შეასუსტა კონტროლი № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, არაფერი იღონა კოლექტივში დისციპლინის განმტკიცებისთვის, არადამაკმაყოფილებლად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობებს, დ. ხარჯმაძე განთავისუფლებულია № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის მოვალეობისაგან და მას გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

იმის გამო, რომ სუსტად ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა დაქვემდებარებული ქვეგანაყოფების საქმიანობას და სათანადო ღონისძიებანი არ განახორციელა მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევათა პროფილაქტიკისათვის, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის მოადგილეს ჯ. ხუციძეს გამოეცხადა საყვედური. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინაშე დაისვა საკითხი, რომ მიზანშეწონილი არ არის მისი დატოვება აღნიშნულ თანამდებობაზე.

სატრანსპორტო გაერთიანების უფროსი რ. ნიკურაძე მკაცრად არის გაფრთხილებული, მას მეეთითა, რომ აუცილებლად უნდა გაძლიერდეს მომთხოვნელობა საიუწყეო სამსახურებისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისადმი ბრძოლის, საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, კადრების შერჩევა-განაწილების საკითხებში.

ქალაქში მოძრაობის უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებლად ორგანიზაციისათვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტონისპექციის უფროსს, სკკპ წევრს ა. გიორგიძეს გამოეცხადა საყვედური. საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილეს დ. ალანიას, იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყო მძრაობის უსაფრთხოების კომპლექსური ღონისძიებანი, მეეთითა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ო. ეჯიბაძის ყურადღება მიექცა იმის აუცილებლობას, რომ გაუძლიეროს ხელმძღვანელობა საქალაქო ტრანსპორტის შუშაობას, საგზაობრივად გააანალიზოს სატრანსპორტო ორგანიზაციათა საქმიანობის ყველა ასპექტი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ საქალაქო ტრანსპორტის მძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების კომისიას (ნ. ნეფედოვი) წინადადება მიეცა გააანალიზოს მუშაობა, აამაღლოს ღონისძიებათა ეფექტიანობა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ პარტიის გლდანის რაიკომმა შეცდომა დაუშვა № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის კანდიდატურის შერჩევისას, ხოლო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების ღონისძიებანი ნაკლებეფექტიანი და არასაკმარისია.

პარტიის თბილისის რაიკომებს დაევალათ ეს დადგენილება განხილონ ქალაქის სატრანსპორტო საწარმოთა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

(საქინფორმი).

სამართალდარღვევა: ვინ აგებს პასუხს?

თელავის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმის ავთანდილ გურგენიძის საზოგადოებრივი და პროფილაქტიკური მუშაობის გეგმებში გათვალისწინებული იყო ლექციები და საუბრები . ალკოჰოლის საწინააღმდეგო თემებზე. პატივცემული ავთანდილი პატივს სცემდა გეგმას. კითხულობდა მოხსენებებს, ლექციებს, იღვწოდა ალკოჰოლის წინააღმდეგ, ამათრახებდა მსმელებს. მის სტეჟებს ყურად იღებდნენ, მისი ჯერზოდათ... ავტოინსპექციის მუშაკებსაც კი.

რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა მთვრალ ალმაზოვი, რომელმაც ფეხით მოსიარულეს დააჯახა მანქანა, ამოიცნეს ექიმი ი. გურგენიძე!

რა თქმა უნდა, არაჩვეულებრივი ფაქტია. ალბათ, ამ ფაქტს სწორედ ასე შეაფასებს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

გურამ ესაკია მუშაობდა ქუთაისის ავტოქარხნის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის მძღოლად, ხოლო მისი ამხანაგი შოთა ლომთათიძე — ქუთაისის № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლად. ორივე მძღოლმა კარგად იცის ავტომობილის სათადარიგო ნაწილების ფასი. სად შეიძლება მათი შოვნა უფასოდ? რა თქმა უნდა, ქუთაისის ავტოქარხანაში. ამ ბიჭებმა გადაწყვიტეს ხელი მოეთბოთ სახელმწიფოს ხარჯზე. მაგრამ არ გაუმართლათ. მილიციის მუშაკთა დასკვნით, ავტოქარხნიდან გამოტანილი სათადარიგო ნაწილები საკმაოდ ძვირი აღმოჩნდა, ხოლო საბოლოო „ფასს“ მათი ქურდობისათვის განსაზღვრავს ესაკიასა და ლომთათიძის საქმის მომავალი სასამართლო განხილვა.

მაგრამ რატომ არის შესაძლებელი ქურდობა ავტოქარხანაში? იქნებ ამას ჩვენს მკითხველს მისი ხელმძღვანელობა განუმარტავს.

(საქინფორმი).

რას მოგვითხრობს მცენარის მტვერი და მისი მკვლევარი

პალინოლოგიის ლაბორატორია ბევრად არ განსხვავდება სხვა ჩვეულებრივი ლაბორატორიებისაგან. აქაც დგას ცენტრიფუგა, ქიმიური მაგიდა, ანალიზური სასწორი, გამოსახდელი კუბი და სხვა ხელსაწყოები. მინის კოლბებში მოთავსებული ფერადი სინჯები „ი... მართლაც,' საინტერესო შემადგენლობისაა. ეს არის ჩვენს ტერიტორიაზე ჰოლოცენის ანუ დედამიწის განვითარების უკანასკნელი 10000-12000 წლის წინანდელი მოშრიალე მცენარის ან ბალახის მტვერი. დიახ, მტვერი!

როგორ და რა საშუალებებით შეძლეს მცენარის ამ მტვერის მოპოვება და რა მნიშვნელობა ენიჭება დღეს მის შესწავლას? ამ საკითხზე გვესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის პალინოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ლიანა გოგიჩაიშვილი.** აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მეცნიერი ქალი სულ ახლახან აირჩიეს დედამიწის მეოთხეული პერიოდის შემსწავლელი საერთაშორისო კავშირის „ინქვაა“ ხმელთაშუა ზღვის ქვეკომისიის ვიცე-პრეზიდენტად.

— სანამ უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებდეთ, — გვითხრა მან, — განვმარტოთ პალინოლოგიის რაობა, — მისი მიზანია მცენარეთა სპორებისა და მტვრის მარცვლის შესწავლა. როგორი მრავალფეროვანიც არის მცენარეულობა, ისეთივე მრავალფეროვანია მისი ყვავილის მტვერიც. თითოეულ მარცვალს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მორფოლოგიური აგებულება აქვს. მაგალითად, მუხის მტვრის მარცვალი ფიჭვის მტვრის მარცვლისაგან განსხვავდება, ფიჭვის მტვერი — კაკლისა და რცხილისაგან და ა. შ.

მცენარის მიერ პროდუცირებული მტვრის მარცვლის მხოლოდ უმცირესი ნაწილი ხმარდება განაყოფიერებას, უდიდესი ნაწილი კი ჰაერში მიმოიბნევა და დროთა განმავლობაში ილექება ხმელეთსა თუ წყლის ფსკერზე. ამგვარად, ხდება მცენარეული მტვრის მარცვლების განამარხება, რომელთა გამოკვლევით ადგენენ მცენარეულობის ისტორიის ცალკეულ ეტაპებს. ასეთი მტვრის მარცვლებისა და სპორების მორფოლოგიის შესწავლას სხვადასხვა მიზნით იყენებენ. ამჟამად პალინოლოგიური კვლევა ფართოდ არის დანერგული . მცენარეთა სისტემატიკაში, პალეობოტანიკაში, პალეოგეოგრაფიაში, სტრატიგრაფიაში, ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის ძიებაში, ნიადაგთმცოდნეობაში, არქეოლოგიაში, მემცენარეობაში, მეფუტკრეობასა და მედიცინაში.

სხვაც ბევრი საინტერესო შეკითხვეთ პალინოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელისაგან. მეცნიერი მუშაკები ზაფხულობით ველად გადიან მცენარის მტვრის შემკველი ნამარხი ქანების მოსაპოვებლად. ისინი წინასწარვე იღებენ კონსულტაციას გეოლოგებისა და გეოგრაფებისაგან, და იმ ადგილებში, სადაც ნავარაუდევია ნამარხი მასალა, აწარმოებენ ბურღვას.

ექსპედიციის შედეგად მოპოვებული დანალექების დამუშავება ლაბორატორიაში სპეციალური მეთოდით ხდება. რომლის საშუალებითაც ნამარხი მასალისგან გამოყოფენ მცენარის მტვრის მარცვალსა და სპორას.

აღსანიშნავია, რომ მტვრის მარცვალს მდგრადი გარსი აქვს. იგი უძლებს სხვადასხვა ქიმიური მჟავას ზემოქმედებას. მძიმე სითხის დახმარებით ცალკე გამოყოფენ მტვრის მარცვალს, სპეციალური დამუშავების შემდეგ კი მასზე მიკროსკოპულ დაკვირვებას ახდენენ და განსაზღვრავენ, რომელი მცენარის მტვერია. ამის შემდეგ მათემატიკური გაანგარიშებით დაასკვნიან, როგორი შეფარდება იყო იმ შორეულ პერიოდში ხეებს, ბუჩქებსა და ბალახოვანთა შორის, აგრეთვე, როგორი ტყე ხარობდა ამა თუ იმ ტერიტორიაზე, და რომელი მცენარე დომინირებდა, როგორ ხდებოდა ტყის ერთი ფორმაციის მეორეთი შეცვლა და მრავალი სხვ.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი შესწავლილია ჰოლოცენის პერიოდში. უკვე აღმოჩენილია ცალკეულ ტერიტორიაზე მცენარეული საფარის რამდენიმე საინტერესო ფაქტორი. მაგალითად, ლიანა გოგიჩაიშვილის გამოკვლევით დადასტურდა, რომ გარე კახეთის ახლანდელი ხრიოკი ადგილები ხუთი-შვიდი ათასი წლის წინათ დაფარული იყო უფრანი მუხნარით. ხარობდა ლაფანი, კაკალი და სხვა მცენარეებიც. საინტერესო მონაცემები აქვს მოკვლეული ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს ნინო მარგალიტაძეს — ჰოლოცენში ჯავახეთის ტერიტორიისათვის.

პალინოლოგიის ლაბორატორიას მჭიდრო კონტაქტი აქვს არქეოლოგიის კვლევითს ცენტრთან. არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისას კულტურული ფენიდან გამოყოფილი მცენარის მტვრისა და სპორის ანალიზით ადგენენ შესატყვისი ეპოქის პალეოგეოგრაფიულ გარემოს.

ჰოლოცენში მიმდინარე პროცესების, განსაკუთრებით კი ადამიანის საძეურნეო ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ცვლილებების ღრმად შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დადგენილია, რომ ჰოლოცენი ერთიანი ბუნებრივ-სამეურნეო სისტემის დაშლის პერიოდია. სწორედ ადრეული ჰოლოცენიდან დაიწყო საკვების წარმოების პროცესი, რამაც განაპირობა საწარმოო ძალების განვითარება. ეს კი, თავის მხრივ, იწვევდა ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევას. აღნიშნული პროცესი გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე და კაცობრიობა დადგა უდიდესი პრობლემების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის აუცილებლობის წინაშე.

— ჩვენი ლაბორატორიის კვლევის მიზანს, — განაგრძობს ლ. გოგიჩაიშვილი, — ნამარხ ფორმებთან ერთად თანამედროვე მცენარეთა მტვრის ჰაერში გავრცელების შესწავლა წარმოადგენს, რაც ალერგიულ დაავადებებთან არის დაკავშირებული. ასეთი გამოკვლევები დაწარებას უწევს ყურნალს ალერგიულ დაავადებათა მიზეზების დადგენასა და პროფილაქტიკაში. ამ საკითხზე მუშაობენ ლაბორატორიის თანამშრომლები მზია საყვარელიძე და თამარ ჭერაშვილი.

მედიცინის მუშაკთათვის ცნობილია იმ მცენარეთა უმრავლესობა, რომელთა მტვრის მარცვალი იწვევს ალერგიულ დაავადებას. ჩვენ შეგვიძლია ექიმს მივაწოდოთ ცნობა ჰაერში ალერგიის გამომწვევ მცენარეთა მტვრის შემცველობის თაობაზე. ზოგი მცენარის მტვერი, ყვავილობის შემდეგ, ჰაერში დიდხანს რჩება, (რაც დაავადების ხანგრძლივობას იწვევს), ზოგი ნაკლებ ხანს.

ლაბორატორიის თანამშრომლები იკვლევენ თბილისის მიდამოების ატმოსფეროში სპორისა და მტვრის მარცვლის სეზონური შემცველობის ზონების მიხედვით, ამ მხრივ უკვე გამოცემულია ცნობარი ლ. გოგიჩაიშვილის, მ. რამიშვილისა და მ. საყვარელიძის ავტორობით, რომელსაც „ალერგიულ დაავადებათა გამომწვევი ზოგიერთი მცენარის მტვრის მარცვლის მორფოლოგია“ ეწოდება. ამ მხრივ კვლევა გრძელდება. ამჟამად თბილისის მიდამოებისათვის ადგენენ ცნობარს, სადაც მოცემული იქნება მცენარეთა მორფოლოგია, ყვავილობის პერიოდში ჰაერში მტვრის ოდენობა, ხანგრძლივობა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე თანამედროვე მცენარეთა სპორისა და მტვრის მარცვლის კოლექციის შედგენას და მსოფლიო ლიტერატურაში არსებული პალინოთეკის თავმოყრას. სწორედ ამ საკითხზე მუშაობს ლაბორატორიის თანამშრომელი ნანა თარალაშვილი.

თანამედროვე მცენარის მტვერს იმავე წესით ამუშავებენ, როგორც ნამარხს. ამით შესაძლებელი ხდება ნამარხი მტვრის მარცვლის შედარება მის თანამედროვე სახეობასთან.



სურათზე: *პალინოლოგიის ლაბორატორია. წინა პლანზე — ლ. გოგიჩაიშვილი და მ. საყვარელიძე.*

ჯ. ლომაძის ფოტო.

ინფორმაცია-83 ● ინფორმაცია-83 ● ინფორმაცია-83

მომღერლის უახლოესი საგასტროლო გზები

ახალგაზრდა ქართველი მომღერლის პაატა ბურჭულაძის ბოლოდროინდელი წარმატებების ამბავი არაერთხელ გვსმენია. ორი წლის მანძილზე ორ მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსზე აღიარება მომღერლის მცირე „ნადავლი“ როდია. ბუსეტოსა (იტალია) და მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის მეშვიდე საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვების შემდეგ პაატას ხელოვნებით მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაინტერესდნენ. ამა თუ იმ პარტიის შესასრულებლად მას იწვევენ საუკეთესო თეატრების სცენებზე. ახლახან პ. ბურჭულაძე დაბრუნდა იტალიიდან, სადაც იგი დიდი თეატრის სოლისტთან პ. ჩაიკოვსკის მეექვსე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატთან ლუდმილა შეეჩუკთან (მეცო-სოპრანო) ერთად მიწვეული იყო რომში, სამუსიკო აკადემიის „სანტა ჩეჩილიას“ სცენაზე განხორციელებულ მ. მუსორგსკის ოპერა „სოლამბოში“ მთავარი პარტიების შესასრულებლად. ქართველმა მომღერალმა შეასრულა მატოს პარტია.

— როგორც ვოკალური ხელოვნების მოყვარულებმა იციან, — გვიამბობს პაატა ბურჭულაძე, — დიდმა რუსმა კომპოზიტორმა მ. მუსორგსკიმ ოპერა „სოლამბო“ ფრანგი მწერლის ფლობერის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით შექმნა, მაგრამ რატომღაც არ დაასრულა და ამ ოპერაზე დაყრდნობით შემდეგ დაწერა „ბორის გოდუნოვი“. ამიტომაც ამ ორ ოპერას საერთო ბევრი რამ აქვს. მაგალითად, მატოს პარტია შეიცავს ბორის გოდუნოვის მონოლოგს, სცენას კურანტებთან და ბორისის სიკვდილის სცენას. „სალამბო“ ჩვენში არ დადგმულა. კონცერტებზე სრულდებოდა მხოლოდ ფრაგმენტულად. „სანტა ჩეჩილიას“ სცენაზე „სალამბო“ ოთხ აქტად დადგა. ოპერის სამი მეოთხედი გაორკესტრა იტალიელმა დირიჟორმა ზოლტან პეკამ. იგი იტალიის რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორია. მანვე ორი წლის წინათ მილანის საოპერო თეატრში უდირიჟორა ამ ოპერას. ამჯერად მან ჩვენთან ერთად ოპერაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია ამერიკელი ბარიტონი ვილიამ სტონი და იუგოსლავი ბანი ჯორჯი სურიანი, ოპერაში მონაწილეობდნენ „სანტა ჩეჩილიას“ გუნდი და ორკესტრი, აგრეთვე ბავშვთა გუნდიც.

ოპერას წარმატება ხვდა. ამ მოვლენას აქტიურად გამოეხმაურა იტალიური პრესა. „ყოველდღიურმა გაზეთებმა „პაეზი სერამ“, „ტემპომ“, „მესაჯერომ“ დადებითი რეცენზია უძღვნეს ამ დადგმას. გთავაზობთ ამონაწერს გაზეთ „ტემპოდან“: „კონცერტზე დასწრება მარტო იმიტომ ღირდა, რომ შესანიშნავ მომღერლებს მოვუსმინეთ. უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს ბანი — პაატა ბურჭულაძე, რომელიც უდიდესი და უსაზღვრო ვოკალური მონაცემების მქონე მომღერალია, ხავერდოვანი ტემბრითა და მატოს პარტიის პროფუნდოთი.

— უახლოეს მომავალში,—განაგრძობს პაატა, — კვლავ მომელის იტალიაში გამგზავრება. აპრილში რუმინეთში, ბუქარესტის სცენაზე შევასრულებ მეფისტოფელის პარტიას „ფაუსტში“. ზაფხულში კი ლონდონის საერთაშორისო ფესტივალზე ბეთჰოვენის მესა „სალემნის“ შევასრულებ. ეს ჩემი უახლოესი საგასტროლო გზებია. ამჟამინდელი უპირველესი საზრუნავი კი ახალი პარტიების მომზადებაა. ეს გახლავთ ოპერა „ბორის გოდუნოვიდან“ ბორისისა და „დონ ჟუანიდან“ ლეპორელოს პარტიები. ამ ოპერების პრემიერა წლეულს გაიმართება თბილისის საოპერო სცენაზე.

(„კომუნისტის“ კორ.).

ქართული ლიტერატურის სიყვარულით

** წლის დასაწყისიდანვე შესანიშნავად შრომობს „თბილისკონდიტერის“ საწარმოო გაერთიანების ზოია რუხაძის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის კოლექტივი. აქ ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.**

სურათზე: *ბრიგადის წევრები ი. ჯიბლაძე, ნ. კაჭარავა და ნ. რამაზაშვილი.*

ჯ. ლომაძის ფოტო

ახალი მარკის ტროლეიბუსები

№ 8 მარშრუტის ტროლეიბუსის მომსახურებით მოსარგებელ თბილისელებსა ჯეროვნად შეაფასეს ჩეხოსლოვაკიური „ტოდას“ ფირმის ახალი მანქანები. ამ სერიის სამი ტროლეიბუსი უკვე მოძრაობს მარშრუტით ბაგებიერუსთაველის პროსპექტი-ლენინის მოედანი.

წლის დამლევამდე კიდევ 28 ასეთი მარკის ტროლეიბუსი გამოჩნდება ჩვენს დედაქალაქში.

ინფორმაცია-83 ● ინფორმაცია-83 ● ინფორმაცია-83

ვერნისაჟი ერევანში

სამასზე მეტი ნაწარმოებია წარმოდგენილი საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვართა ნაშუშევრების გამოფენაზე, რომელიც გაიხსნა ერევნის მხატვრის სახლში. ეს არის დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზები, ბევრი იმ დადგმისა და ფილმის გაფორმების ჩანახატები, რომლებიც ცნობილია საბჭოთა და სახლვარგარეთელი მაყურებლებისათვის.

ექსპოზიციის გახსნისას სომხეთის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ს. მურადიანმა აღნიშნა, რომ ქართველ კოლეგებს სახვითი ხელოვნების ამ ჟანრში დიდი ხნის მდიდრული ტრადიციები აქვთ. მათი შემოქმედება დამსახურებული აღიარებით სარგებლობს.

ვერნისაჟზე ჩამოსულ ქართველ სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ სომხეთის სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მ. ხარაზიანი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნ. კაგრამანოვი და სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. არუტჩიანი. მათ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის, მაყურებლების სახელით ახალი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვეს ქართველ ხელოვანთ მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის აყვავებისათვის.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარმა მხატვარმა ო. ქოჩაკიძემ მაღლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის და თქვა, რომ ახლანდელი შეხვედრა პასუხია სომხეთის ჟანრის ოსტატთა ნაწარმოებების ექსპოზიციისა, რომელიც გასულ წელს მოეწყო თბილისში. ასეთი გაცვლა ხელს უწყობს შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცებას.

(საქინფორმის სპეც. კორ.).

გშრჯაანი

ახალი ბაგა-ბალი

გშრჯაანის ცენტრი დაამშვენა ორსართულიანმა ბაგა-ბალის შენობამ, რომელიც 140 ბავშვისათვის არის განკუთვნილი. იგი აეგო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეექვსე სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა.

კლუბი ჯიმითში

კარბი საჩუქარი მიიღეს ჯიმითელებმა — საეკსპლოატაციოდ გადაეცა კლუბ-კინოთეატრის ახალი შენობა. ჯიმითის მეურნეობამ კლუბისათვის შეიძინა ახალი ავეჯი, გურჯაანის რაიონის კინოფიკაციამ კი ახალ კლუბში დადგა ფართოეკრანიანი კინოდანადგარები. კლუბში ყველა პირობაა შექმნილი ფართოდ გაშალონ წრეობრივი მუშაობა.

ტექმომსახურების სადგური

გურჯაანი-თელავის ცენტრალური ტრასის მარჯვენა მხარეს, სოფელ ველისციხის შესასვლელში მწყობრში ჩადგა მოსკოვის ავტოქარხნის „მოსკვიჩების“ საგარანტიო და ტექმომსახურების ახალი სადგური.

თანამედროვე პროექტით ნაგები სადგური აღჭურვილია ტექნიკის უახლესი დანადგარებით.

კვალიფიციური ხელოსნები ოსტატურად, იყენებენ დიაგნოსტიკის კუთხეს, ავტომატური შეზეთვის საამქროს, მექანიკური სამრეცხაოს,

დ. გეგეშიძვილი.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

ᲙᲐᲛᲘᲜᲓᲘ

მარტი ჭირვეულობს

მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო — ამბობს ხალხური ანდაზა. და, მართლაც, ამინდის ასეთი ცვალებადობა წელს რომ გვაქვს, ბუნებისათვის ყოფილა.

ამ ორი დღის წინათ ბათუმში მეტრზე მეტი თოვლი დადო. მთებში კი, სადაც ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებია გაშენებული, თოვლის საფარის სიმაღლე ორ მეტრამდე აღწევდა.

რვა მარტს ღამით დასავლეთ საქართველოს სამხრეთ სანაპირო რაიონებში წვიმა მოვიდა, რამაც თოვლი გაადნო. გუშინდელი დილის მონაცემებით, ბათუმში თოვლის საფარის სიმაღლე 35 სანტიმეტრი იყო, ზუგდიდში 20, გეგეჭკორში 25, ქუთაისში — 26, საჩხერეში — 62, ონში —51, ტყიბულში — 109, ხულოში — 127, ბახმაროში — 260, ლებარდიში — 380 სანტიმეტრი.

ჩრდილო სანაპირო რაიონებში ძლიერი ქარი ქროდა. ბიჭვინთაში მისი სიძლიერე წამში 40 მეტრს აღწევდა, სოხუმში — 30, ოჩამჩირეში — 25 მეტრს.

აღმოსავლეთ საქართველოში უმეტესად მოღრუბლული ამინდი იდგა, ზოგან თოვდა, დასავლეთ რაიონებში კი ძლიერ ბურდნიდა, თოვლის საფარის სიმაღლე ცხინვალში უდრიდა 30 სანტიმეტრს, ხაშურში — 19, ახალციხეში — 14, ყვარელში — 16, თიანეთში — 30, ბაკურიანში — 45, წალკაში — 48 სანტიმეტრს.

დასავლეთ საქართველოს ბარში ნულიორი გრადუსი ყინვაა, მთაში —რვა გრადუსი; აღმოსავლეთ საქართველოში — ერთიხუთი გრადუსი ყინვაა, მთაში — შვიდი-თორმეტი გრადუსი.

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს თბილისის ამინდის ბიუროში აცნობეს, უახლესი ორი-სამი დღის განმავლობაში ამინდის გაუმჯობესება არ არის მოსალოდნელი. კვლავ მოღრუბლული ამინდი იქნება, დასავლეთ საქართველოში იქროლებს დროგამოშვებით ძლიერი ქარი, აღმოსავლეთ საქართველოში ნალექებია მოსალოდნელი.

თბილისში დროგამოშვებით მოთოვს, ტემპერატურა ღამით ნულიხუთი გრადუსი ყინვაა მოსალოდნელი, დღისით ნულიხუთი გრადუსი სითბო.

გრიგალისებრი ქარი

ბაკო, 9 მარტი (საკადრის კორ.). რთული ამოცანების წინაშე დააყენა ბაქოელები გრიგალისებრმა ქარმა, რომელიც გუშინ თავს დაატყდა ქალაქს და მხოლოდ დღეს დილისათვის ჩადგა. ქარის სიჩქარე წამში 35 მეტრს აღწევდა. ქარი ფეხსავიანად თხრიდა ხეებს, აქცევდა ელექტროგადამცემი ხაზების ბოძებს, სახლებს სახურავებს ჭდიდა.

უდიდესმა ტალღამ ღუზას მოგლიჯა საბუნკერო ხომალდი „იუპიტერი“ და ნაპირისაკენ გაქანა იგი. მაგრამ უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ უბედურებაში ჩავარდნილი გემის ს